

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

სატენდერო დოკუმენტაცია

ბამარტივებული ელექტრონული ტენდერით სატელეფონო მომსახურების შესყიდვაზე

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ზუგდიდი, 2012 წელი

ს ა რ ჩ ე ბ ი

1. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი
2. ტექნიკური დავალება
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია
5. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ
6. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
7. დანართი №2, ფასების ცხრილის ფორმა
8. დანართი №3, ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ

1. **გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი**

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის საჭიროებისათვის სატელეფონო მომსახურების შესყიდვა.

ორგანიზაციების (სამსახურების) მიხედვით მოქმედი ფიქსირებული სატელეფონო ნომრების რაოდენობა

№	ორგანიზაციის (სამსახურის) დასახელება	მისამართი	სატელეფონო ნომრების რაოდენობა
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა	ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №45	17
2	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა	ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90	44
3	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურის შენობა	ქ. ზუგდიდი, კელას ქ. №1	5
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის შენობა	ქ. ზუგდიდი, ცოტნე დადიანის ქ. №21	2

- ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწვევა უნდა უზრუნველყოს 24:00 საათის განმავლობაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. **ტექნიკური დავალება**

2.1 სატელეფონო მომსახურება უნდა მოიცავდეს:

- ციფრული სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფას;
- უფასოდ სატელეფონო ნომრის გამოყოფოს და დადგმას;
- პრეტენდენტის შიდა ქსელში, ადგილობრივ ზარებზე უფასო სატელეფონო კავშირს;
- სატელეფონო ნომრებზე საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან კავშირის შეზღუდვას, კოდის მეშვეობით;

- სატელეფონო ნომრებზე დაწესებული ლიმიტის ამოწურვის შემდეგ ნომრის გათიშვას;
- 24 საათიან უფასო საინფორმაციო მომსახურებას და კონსულტაციას ნებისმიერ სატელეკომუნიკაციო თემაზე;
- შემომავალი და გამავალი საუბრების დეტალური ამონაწერის ამობეჭდვას;
- ნებისმიერი სატელეფონო საუბრის წამობრივ აღრიცხვას (დამრგვალების გარეშე);
- ფაქსით მომსახურებას;
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით ხარისხიან სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფას;
- მიმწოდებლის მიერ მომსახურებასთან დაკავშირებული საჭირო სამონტაჟო, გაყვანილობის და დაერთების სამუშაოებს, საჭიროების შემთხვევაში სხვა მისამართზე სატელეფონო ნომრების გადატანის შესაძლებლობას, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გარეშე;

2.2 სატელეფონო მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობებით:

№	მომსახურების დასახელება	განზომილება	რაოდენობა
1	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	სატელეფონო ნომერი	68
2	შიდა ქსელში სატელეფონო კავშირი	წუთი	ულიმიტო/უფასო
3	სატელეფონო კავშირი საქართველოს სხვა ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში	წუთი	700
4	სატელეფონო კავშირი საქართველოს სხვა ოპერატორის უსადენო ქსელში	წუთი	700
5	საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ და უკაბელო ქსელში	წუთი	350
6	სატელეფონო საუბრები საქართველოს მობილურ ოპერატორებთან	წუთი	150
7	ფაქსით მომსახურება სხვა ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში	გზავნილი	300

შენიშვნა (1): აღნიშნულ ტენდერში არაპროვაიდერი კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს სატელეფონო ნომრების პორტირება მოქმედი სატელეფონო ნომრებით.

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(კ რ ო ე ქ ტ ო)

ქ. ზუგდიდი

„.....“ „.....“ 2012 წელი.

ერთის მხრივ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან კონჯარას სახით და მეორეს მხრივ, (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, სახით, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულების საბანი

- 1.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია კისრულობს, გაუწიოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულია კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მომსახურების საზღაური, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- 1.2 ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან“ ----- **მომსახურების** შესყიდვა (გასაწევი მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2. ხელშეკრულების ღირებულება

- 2.1 გასაწევი მომსახურების მთლიანი ღირებულება (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის, ტრანსპორტირების და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით) შეადგენს: (.....) ლარს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

- 3.1 „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა თანდართული გრაფიკის შესაბამისად.
- 3.2 „შემსყიდველი“ ან მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი ვალდებულია „მიმწოდებელთან“ ერთად აწარმოოს მომსახურების გაწევაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი.
- 3.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
- 3.4 მომსახურების გაწევის პარალელურად, „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

4. მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 4.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ფისი

- 5.1 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება უნაღლო აგარიშსწორებით, „მიმწოდებლის“ ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.
- 5.2 ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების გათვალისწინებით შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- 6.1.1 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
- 6.1.2 გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

- 6.2.1 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
- 6.2.2 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
- 6.2.3 დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმება;
- 6.2.4 „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვონ გაწეული მომსახურების შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- 6.3.1 ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება;
- 6.3.2 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „შემსყიდველს“ წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 6.3.3 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან;
- 6.3.4 მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტით;
- 6.3.5 დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
- 6.3.6 ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.4.1 „შემსყიდველისგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1 „მიმწოდებელს“ არა აქვს უფლება „შემსყიდველის“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ, რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

10.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოძწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 12.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ დამრღვევი მხარე პირგასამტეხლოს სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა ყოველ გადაგადაცილებულ დღისათვის პირგასამტეხლოს თანხის 0,15%-ის ოდენობით.
- 12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
- 12.3 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

- 13.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
- 13.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მანც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
- 13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

- 14.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
- 14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. ღაფების გადაწყვეტის წესი

- 15.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დაკავშირებული ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსამპტირების პირობები

- 16.1 „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

- 16.2 ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: -----
- 16.3 ინსპექტირება განხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
- 16.4 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების, აგრეთვე გასაწევი მომსახურების ხარისხის, მოცულობის და მიწოდების ვადების კონტროლი.
- 16.5 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურების განხორციელების დროს ინსპექტირების ჯგუფს შემოწმების პროცესში აღმოუჩინოს ხელშეწყობა, არ შეუქმნას ხელიშეშემელი პირობები, წარუდგინოს მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები.

17. დასკვნითი დებულებანი

- 18.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთობათვისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გადრმაგების სურვილით.
- 18.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 18.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 18.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 18.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
- 18.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის -----
- 18.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 4 (ოთხი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 3 (სამი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან,“ ხოლო ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს.“

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
 საიდენტიფიკაციო კოდი 220391635
 მისამართი: ქ. ზუგდიდი, ზვ. გამსახურდიას გამზ. №45
 საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს
 სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი
 ბანკის კოდი LBRTGE22
 ანგ. №120190181874000

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე:**

ხელმოწერა:

/ლ. კონჯარია/

4. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

- 3.1 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:
- ფასების ცხრილი (დანართი №2-ს შესაბამისად შედგენილი);
 - რეკვიზიტებს (დანართი №3-ს შესაბამისად შედგენილი);
- 3.2 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.
- 3.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ პრეტენდენტთა სატენდერო წინადადების წარდგენის ალტერნატიული წესი არ განიხილება.
- 3.4 წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის (იხ. დანართი №1) პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენის, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, წინადადების მიღების დაწყების მომენტიდან და საფასურის გადახდის შემდეგ.
- 3.5 სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის და სხვ. ხარჯების გათვალისწინებით.
- 3.6 **წინასწარ გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.**
- 3.7 მომსახურების გაწვევის ვადა: ტენდერში გამარჯვებულმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს 24:00 საათის განმავლობაში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 3.8 **სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი – (კოდი 01 01, 01 02, 02 00, 04 01).
- 3.9 **სატენდერო კომისიის შემადგენლობა:**
- ✓ ალექსანდრე ქობალა – კომისიის თავმჯდომარე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
 - ✓ რუსლან კლასონია – კომისიის წევრი, გამგებლის მოადგილე;
 - ✓ დარეჯან გაბელავა – კომისიის წევრი, გამგებლის მოადგილე;
 - ✓ თენგიზ შანავა – კომისიის წევრი, გამგებლის აპარატის უფროსი;
 - ✓ ნანი მიქენაია – კომისიის წევრი, საფინანსო სამსახურის უფროსი;
 - ✓ დავით ესებუა – კომისიის წევრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;
 - ✓ თენგიზ ქობალა – კომისიის წევრი, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;
 - ✓ ჯაბა არღია – კომისიის წევრი, კაპიტალური მშენებლობის სამსახურის უფროსი;
 - ✓ ადამურ არქანია – კომისიის წევრი, მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი;
 - ✓ მადონა სახოკია – კომისიის წევრი, იურიდიული განყოფილების უფროსი;
 - ✓ ვლადიმერ ქიქავა – კომისიის წევრი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.
- 3.10 **სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:**
- ✓ ბესიკ ქარდავა – აპარატის წევრი, მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით შესყიდვების განხორციელების განყოფილების უფროსი;
 - ✓ ინდირა მელუა – აპარატის წევრი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

- 3.11 *პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.*
- 3.12 სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

***შენიშვნა (1):** პრეტენდენტი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია სატენდერო დოკუმენტაცია.*

***შენიშვნა (2):** ამ პუნქტის 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტები და ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.*

***შენიშვნა (3):** ამ პუნქტის 3.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტები და ინფორმაცია უნდა იყოს პრეტენდენტის სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ინდ. მეწარმის შემთხვევაში - ხელმოწერილი).*

***შენიშვნა (4):** შესაძლებელია პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და ასევე, გამარჯვების შემთხვევაში საჭირო წერილები (სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი) გაეგზავნოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის საშუალებით (kardava.b@gmail.com).*

***შენიშვნა (5):** დაზუსტებას არ ექვემდებარება ხელშეკრულების პროექტში მოცემული საჯარიმო სანქციები შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის.*

5. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები უმსჯილვის პროცედურების შესახებ

- 4.1 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, მე-3 სართული, მე-11 ოთახი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა, საკონტაქტო ტელეფონი: 0 (415) 25-01-17, მობ.: +995 95 22 27 88.

ა უ ი ღ ა ვ ი ტ ი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი: _____
(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____ სახელით,
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____
(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ _____
(ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეების მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისაგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
4. ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულია კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება სემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
 - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

- გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
 - ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შენაარს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი პრეტენდენტის სახელით ადასტურებს დოკუმენტში მითითებულ ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

ფასების ცხრილი

(პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ფასების ცხრილი შემდეგი ფორმის შესაბამისად)

პრეტენდენტის დასახელება _____

№	მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი/ წუთის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება 1 (ერთი) თვის განმავლობაში (ლარი)	საერთო ღირებულება 4 (ოთხი) თვის განმავლობაში (ლარი)	შენიშვნა
1	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	17	4			ლიმიტი გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 1 სატელეფონო ნომერზე
2	შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო კავშირი	უღიმიტო	უფასო	-	-	
3	სატელეფონო კავშირი საქართველოს სხვა ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში	250 წუთი	არაუმეტეს 0,04			
4	სატელეფონო კავშირი საქართველოს სხვა ოპერატორის უსადენო ქსელში	250 წუთი	არაუმეტეს 0,04			
5	საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ და უკაბელო ქსელში	125 წუთი	არაუმეტეს 0,20			
6	სატელეფონო საუბრები საქართველოს მობილურ ოპერატორებთან	60 წუთი	არაუმეტეს 0,28			
7	ფაქსით მომსახურება სხვა ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში	100 გ ზავნილი 0	არაუმეტეს 0,20			
	ჯამი:					

№	მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი/ წუთის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება 1 (ერთი) თვის განმავლობაში (ლარი)	საერთო ღირებულება 4 (ოთხი) თვის განმავლობაში (ლარი)	შენიშვნა
1	ყოველთვიური საბონენტი გადასახადი	44	4			ლიმიტი გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2 სატელეფონო ნომერზე
2	შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო კავშირი	ულიმიტო	უფასო	-	-	
3	სატელეფონო კავშირი საქართველოს სხვა ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში	450 წუთი	არაუმეტეს 0,04			
4	სატელეფონო კავშირი საქართველოს სხვა ოპერატორის უსადენო ქსელში	450 წუთი	არაუმეტეს 0,04			
5	საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ და უკაბელო ქსელში	225 წუთი	არაუმეტეს 0,20			
6	სატელეფონო საუბრები საქართველოს მობილურ ოპერატორებთან	90 წუთი	არაუმეტეს 0,28			
7	ფაქსით მომსახურება სხვა ოპერატორის ფიქსირებულ ქსელში	200 გ ზავნილი	არაუმეტეს 0,20			
	ჯამი:					

№	მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი/ წუთის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება 1 (ერთი) თვის განმავლობაში (ლარი)	საერთო ღირებულება 4 (ოთხი) თვის განმავლობაში (ლარი)	შენიშვნა
1	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	5	4			ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საგანგებო სიტუაციების სამსახურისთვის
2	შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო კავშირი	უღიმიტო	უფასო	-	-	
	ჯამი:					

№	მომსახურების აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი/ წუთის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება 1 (ერთი) თვის განმავლობაში (ლარი)	საერთო ღირებულება 4 (ოთხი) თვის განმავლობაში (ლარი)	შენიშვნა
1	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	2	4			ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისთვის
2	შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო კავშირი	უღიმიტო	უფასო	-	-	
	ჯამი					

სულ მთლიანი ჯამი: ----- ლარი

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

შენიშვნა (6): ფასი უნდა მოიცავდეს მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

შენიშვნა (7): გამრჯვებულ პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, ზემოთ ნაჩვენები ფორმის შესაბამისად.

ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ

თარიღი: ____ ____ 2012 წ.

პრეტენდენტის დასახელება _____

იურიდიული ფორმა:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
საკონტაქტო ტელეფონი:	
იურიდიული მისამართი:	
ფაქტური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
ელექტრონული ფოსტა:	
მომსახურე ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	

პრეტენდენტის ხელმოწერა _____